2017

ANNUAL REPORT წლიური ანგარიში

MILLENNIUM CHALLENGE ACCOUNT-GEORGIA

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო

MILLENNIUM CHALLENGE CORPORATION
UNITED STATES OF AMERICA

ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ადამიანური კაპიტალის განვითარების გზით

$140 მლნ ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი (გრანტი) საქართველოს

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალი კადრების განვითარება

უმაღლესი განათლება

San Diego State University - Georgia

$ 31 მლნ

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის

$16 მლნ

ზოგადი განათლება

$ 74 მლნ

მონიტორინგი და შეფასება

გენდერული და სოციალური ინტეგრაცია

პროგრამების ადმინისტრირება

$19 მლნ

7 მიმოხილვა

ჩვენ შესახებ, პროექტების მიმოხილვა

14 ამბავი

2017 წლის მოვლენები

18 რიცხვი

2017 წლის სტატისტიკა

28 ინოვაცია

2017 წელს დანერგილი ინოვაციური მიდგომები

32 ფოტო

2017 წლის საქმიანობა კადრებად

34 მიღწევა

2017 წლის წარმატების ისტორიები

ადამიანური კაპიტალი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი წინაპირობაა. საქართველომ ბოლო 25 წლის მანძილზე მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია. თუმცა, თანამედროვე კვლევები გვიჩვენებს, რომ ჩვენ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხელის შემშლელ ფაქტორს კვლავ პროფესიონალი კადრების დეფიციტი წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს საბუ-ნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) სფეროებში ადამიანური კაპიტალის დეფიციტს ეხება.

აღნიშნული გამოწვევის გადასალახად „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“ ახორციელებს პროგრამებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით, სადაც აქცენტი სწორედ STEM სფეროში განათლების ხარისხისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე კეთდება.

ჩვენ მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული აქტივობები, რომელიც გაუმჯობესებული სასწავლო გარემოს შექმნისთვის არის საჭირო, საქართველოს რეგიონებსა და სოფლებში საჯარო სკოლების რეაბილიტაციასა და ქვეყნის მასშტაბით სკოლების მოვლა-პატრონობის სისტემის შექმნას ისახავს მიზნად. STEM-ის საგნების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას და სკოლის მმართველების შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურება კომპაქტის ზოგადი განათლების პროექტი.

კომპაქტით გათვალისწინებული აქტივობების მეშვეობით, საქართველო მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო შეფასებებში, როგორიცაა: TALIS, TIMSS და PISA, რათა შესაძლებელი გახდეს განათლების სექტორში გატარებული რეფორმების შედეგის გაზომვა.

ინდუსტრიისა და კერძო სექტორის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარების მიზნით, ჩვენ ვახორციელებთ პროექტს „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ხდება კონკურენტუნარიანი საგრანტო პროგრამების შეთავაზება, კერძო-საჯარო პარტნიორობის ხელშეწყობით პროფესიული განათლების ახალი პროგრამების შემუშავება, პოლიტიკის შემუშავების ტექნიკური დახმარება, პროფესიული განათლების პოპულარიზება და პროვაიდერების შესაძლებლობების გაძლიერება. პროფესიული განათლების პროექტის ამოცანაა, საქართველოში მივიღოთ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული, საერთაშორისო სტანდარტისა და ხარისხის პროფესიული განათლება STEM დარგებში, სოფლის მეურნეობასა და ტურიზმში.

უმაღლესი განათლების პროექტი მიზნად ისახავს საერთაშორისო სტანდარტების საგანმანათლებლო პროგრამების განხორ-ციელებას, STEM-ის დარგებში პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი ინჟინრებისა და ტექნოლოგების მომზადებას საერთა-შორისო ასპარეზზე.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“ გენდერულ უთანასწორობას ეკონომიკის ზრდის და სიღარიბის აღმოფხვრის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ, სოციალური და გენდერული საკითხები შესულია კომპაქტის ფარგლებში პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპაქტით გათვალისწინებულ სარგებელზე თანასწორი წვდომა.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიღებული აქვს საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსა და სოციალური მდგრადობის პრინციპები, რომელიც გათვალისწინებულია კომპაქტის ყველა აქტივობაში. ჩვენ გვჯერა, რომ ეკონომიკის მდგრადი განვითარება და ჯანმრთელი გარემო ურთიერთდამოკიდებული ცნებებია.

მოცემული ანგარიში მოიცავს 2017 წელს ფონდის მიერ განხორციელებული აქტივობების მოკლე მიმოხილვას, აქცენტით ფონდის 2017 წლის მთავარ ამბავზე, მიღწევასა თუ ინოვაციაზე.

მაგდა მაღრაძე

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველო
აღმასრულებელი დირექტორი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო 2014-2019 წლებში ახორციელებს პროექტებს აშშ-ის მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტით - გრანტით. კომპაქტი არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის 2013 წელს გაფორმდა და რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

კომპაქტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევას ადამიანური კაპიტალის განვითარების გზით.

ზოგადი განათლების პროექტი

ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს რეგიონებში მოხდება **100**-მდე საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს **გაუმჯობესება,** საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორების პროფესიული განვითარება და ეროვნული და საერთაშორისო **შეფასებების განხორციელება**

პროექტის სრული ბიუჯეტი 74 მილიონი აშშ დოლარია

ზოგადი განათლების პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და აღჭურვა;
2. მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარება;
3. საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობისა და ოპერირების სისტემის შემუშავება-დანერგვა;
4. ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების ხელშეწყობა.

პროექტი ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის''

შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული

პროფესიული განათლების მიწოდება

პროექტის სრული ბიუჯეტი 16 მილიონი აშშ დოლარია.



პროფესიული განათლების პროექტის კომპონენტებია:

1. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განვითარებისთვის საგრანტო დაფინანსება;
2. პროფესიული განათლების სექტორში ინდუსტრიის მონაწილეობის ხელშეწყობის და პროფესიული განათლების პოპულარიზებისთვის საგრანტო დაფინანსება;
3. პროფესიული განათლების პოლიტიკის დარგში ტექნიკური დახმარება;
4. პროფესიული განათლების ყოველწლიური კონფერენცია და ეროვნული ჯილდო.

უმაღლესი განათლება

2014 წლიდან აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის უმაღლესი **განათლების პროგრამებს სთავაზობს.**

ხორციელდება საქართველოს სამი პარტნიორი სახელმწიფო **უნივერსიტეტის** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - **პროგრამების განვითარება და საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება**

პროექტის სრული ბიუჯეტი **31** მილიონი აშშ დოლარია.

ახალგაზრდებში STEM განათლებისა და ინოვაციების ხელშეწყობისა და პოპულარიზების მიზნით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი ახორციელებს **ათასწლეულის ინოვაციის კონკურსს** **უფროსკლასელებისთვის, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით.**

ამბავი 2017

- 31 ოქტომბერს, პროფესიული განათლების მეორე ყოველწლიური კონფერენცია „**პროფესიები მომავლისთვის**" გაიმართა. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება და ახალი შესაძლებლობების წარმოჩენა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში ბოლო პერიოდში. კონფერენციაში მონაწილეობა 200-მდე მონაწილემ მიიღო საქართველოდან, აშშ-დან და ევროპის ქვეყნებიდან.

- 3-4 ივნისს ჩატარდა ეროვნული კონფერენცია „**სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასება - სასკოლო განათლების ძირითადი გამოწვევები**", რომლის მიზანიც იყო საზოგადოებისა და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელთა ინფორმირება სასკოლო განათლების სისტემაში მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებაში არსებული ვითარების შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 300-მდე პედაგოგმა, სკოლის დირექტორმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორებმა, განათლების ექსპერტებმა და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა.

- საქართველომ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მხარდაჭერით და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 2017 წლის 2-6 ოქტომბერს ბათუმში საგანმანათლებლო შეფასების საერთაშორისო ასოციაციის 43-ე კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციის მთავარი თემა იყო „**შეფასება, როგორც სოციალური ბერკეტი**". კონფერენციას 40 ქვეყნის 350-მდე უცხოელი და ადგილობრივი დელეგატი ესწრებოდა.

- 9-10 სექტემბერს, თბილისში, „**სკოლის მართვისა და ლიდერობის კონფერენცია**" გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 250-ზე მეტი საჯარო სკოლის დირექტორმა და განათლების სპეციალისტმა მიიღო. ღონისძიებას საჯარო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კონფერენციის მიზანი იყო სკოლის მართვის ახალი მოდელების განხილვა და ფონდის მიერ ინიცირებული „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის" შედეგების წარდგენა.

- 31 ოქტომბერს გაიმართა პროექტის „**პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის**" ფარგლებში ფონდის მიერ დაფინანსებული 45 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამოფენა, რომელშიც 400-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა მიიღო მონაწილეობა.

- საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფსა (GIG) და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც სტუდენტებისთვის სპეციალური სტიპენდიებისა და სტაჟირების პროგრამის დაწესებას ისახავს მიზნად.
- საქართველოში ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტით დაფინანსებული სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU-Georgia) ბაკალავრიატის ამერიკულ პროგრამებს (ქიმია/ბიოქიმია, ელექტრული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული ინჟინერია) 2017-18 სასწავლო წლიდან დაემატა ორი ახალი პროგრამა სამოქალაქო მშენებლობასა და სამშენებლო ინჟინერიაში.
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა აქტივობის მხარდაჭერას გულისხმობს. შედეგად, საქართველოს ეწვია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რაგბის ნაკრები. 2 აპრილს მორაგბეებმა აშშ-საქართველოს დიმპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი თამაში „ლელო არენაზე“, ქართულ სამოყვარულო კლუბ „დევებთან" გამართეს. ამერიკელი მორაგბეების ვიზიტი აშშ-ის საელჩომ დააფინანსა.
- ფონდის ინიციატივით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა დასაქმებისა და სტაჟირების მეორე ფორუმი ჩაატარა. ფორუმში 55-ზე მეტმა წამყვანმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. შედეგად, სტაჟირება სტუდენტების 45%-მა გაიარა.
- ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, იან კელიმ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და სოციალურად დაუცველი საქართველოს მოქალაქე სტუდენტი აშშ-ის საელჩოს 150,000 აშშ დოლარის სრული სტიპენდიით დააჯილდოვა.
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა გენდერული თანასწორობის ჯილდო დააწესა. ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა კერძო კომპანიებს, რომლებიც ამკვიდრებენ ქალების ეკონომიკური გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკას მათი განათლებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის გზით.

ამბავი 2017

* 2017 წელს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდსა და ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს (GWP) შორის. მემორანდუმი სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამებით, სტაჟირებით და სტიპენდიებით ხელშეწყობას ითვალისწინებს.

* 2017 წლის ზაფხულში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU-Georgia) ახალი, 4 750 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე კორპუსის მშენებლობა დაიწყო. შენობაში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკლასო ოთახები, სამუშაო და რეკრეაციული სივრცეები და საერთაშორისო სტანდარტების ელექტრული და სამშენებლო ინჟინერიის ლაბორატორიები განთავსდება.

* 27 თებერვალს ათასწლეულის ინოვაციის მესამე კონკურსის ფინალი ჩატარდა. ექსპერტთა კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული გახდა სენაკის წმ. ალექსი შუშანიას მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის გუნდი, Smart Kids. დეა ჩიტაიამ, ალექსი ტყეებუჩავამ, ნათია შამათავამ, ლიკა კოკაიამ და გვანცა ჩიქოვანმა შექმნეს ხელსაწყოს პროტოტიპი, რომელიც მეწყერის საფრთხის შესახებ აკეთებს პროგნოზს. 1-5 მაისს, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებულმა გუნდმა Smart Kids ჰიუსტონში, NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში მიიღო მონაწილეობა.

* გაეროს ბიზნესის განვითარების ორგანიზაციამ (UNDP), მსოფლიოში ჩატარებული საერთაშორისო შესყიდვების მიხედვით, საქართველო პირველ ათეულში შეიყვანა ისეთ ქვეყნებს შორის, როგორიცაა: ინდოეთი, ბრაზილია, არგენტინა. აღნიშნულში მნიშვნელოვანია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის წვლილი, რადგან ფონდი, აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის წესების მიხედვით, ყველა საერთაშორისო შესყიდვას გაეროს განვითარების ორგანიზაციის ვებგვერდზე აქვეყნებს და ფონდმა 2017 წელს 54-ზე მეტი საერთაშორისო ტენდერი ჩაატარა.

- 2017 წელს საქართველოს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ამერიკულ პროგრამებზე 200-ზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა. 2017 წლის სექტემბერს, საქართველოში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალი სასწავლო წლის დაწყების საზეიმო ცერემონია გაიმართა. სტუდენტთა შორის არიან საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ოლიმპიადების გამარჯვებულები და სტუდენტები, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი ქულები მიიღეს. 2017 წელს უნივერსიტეტში სწავლა დაიწყო რვა ქვეყნის წარმომადგენელმა 20-ზე მეტმა საერთაშორისო სტუდენტმა და ასევე, გაცვლითი პროგრამის სტუდენტებმა აშშ-დან.

- ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა დაიწყო საინფორმაციო კამპანია #გოგოებიტექნოლოგიებში. პროექტის მიზანია, გაზარდოს გოგონების დაინტერესება ტექნიკური და საბუნებისმეტყველო სასწავლო პროგრამებით. სკოლის მოსწავლე და სტუდენტი გოგოები მოგვითხრობენ ისტორიებს საკუთარი მიღწევების შესახებ.

ზოგადი განათლება

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტი– 2017 წლის მონაცემები

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა: 18 საჯარო სკოლას (17,552 კვ.მ ფართი)

სასწავლო გარემო გაუმჯობესდა 6,211 მოსწავლისთვის

30 საჯარო სკოლა აღიჭურვა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით

სკოლებში შევიდა 140-ზე მეტი დასახელების აღჭურვილობა, დანადგარი და რეაგენტი

დაიწყო 28 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია

კახეთი
ქვემო ქართლი

აღნიშნული სკოლები მოიცავს **61,000** კვ.მ-მდე ფართს

სასწავლო გარემო გაუუმჯობესდება 12,000-ზე მეტ მოსწავლეს

ზოგადი განათლება

საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორების პროფესიული განვითარება

ლიდერობის აკადემია
საჯარო სკოლების დირექტორების
პროფესიული განვითარებისთვის

ლიდერობის აკადემია 1-ის ფარგლებში **გადამზადდა**
არაქართულენოვანი სკოლების
166 დირექტორი

ლიდერობის აკადემია 2-ის ფარგლებში **მიმდინარეობს**
1,776 ქართულენოვანი სკოლის
დირექტორის და **1,642** სკოლის
ფასილიტატორის გადამზადება

2,045 საჯარო სკოლის
დირექტორისთვის **ჩატარდა**
216 კვარტალური შეხვედრა
და ლიდერობის აკადემია 1

პროფესიული განვითარების
ტრენინგები
(მათემატიკის, საბუნებისმეტყველო-
ლო საგნების და ინგლისური ენის)
მასწავლებლებისთვის

ტრენინგების მოდული
„მოსწავლეზე ორიენტირებული
სასწავლო გარემოს მახასიათებლები“
წარმატებით გაიარა
პირველი და მეორე ნაკადის
15,134-მა მასწავლებელმა

6,630-მა მასწავლებელმა
გაიარა საგნობრივი ტრენინგი

პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის

- გაიცა **10** მსხვილი გრანტი
- სრული ბიუჯეტი – **18,3** მილიონი აშშ დოლარი
  - კერძო და საჯარო სექტორის თანადაფინანსება – **6,3** მილიონი აშშ დოლარი
  - ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის დაფინანსება **12** მილიონი აშშ დოლარი

- პროფესიული განათლების სექტორში ჩატარდა ინდუსტრიის მონაწილეობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსი
  - გამოვლინდა **10** გამარჯვებული
  - სრული ბიუჯეტი – **$ 258, 283**
  - კერძო და საჯარო სექტორის თანადაფინანსება - **$ 86,097**

- პროფესიული განათლების იმიჯის ასამაღლებლად
  - დაფინანსდა **10** პროექტი **172,100** აშშ დოლარით
  - ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „პროფესიები მომავლისთვის“

ПРОФЕСИУЛИ ГАНАТЛЕБА
ЕКОНОМИКИС ГАНВИТАРЕБИСТВИС

INDUSTY-LED SKILLS AND
WORKFORCE DEVELOPMENT

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში

ბაკალავრიატის **6** პროგრამაზე დღეისათვის სწავლობს **415** სტუდენტი, აქედან **379** საქართველოს, ხოლო **36** უცხოეთის მოქალაქეა

სტუდენტების **32 %** შეადგენენ გოგოები

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტებში:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

რეაბილიტაცია ჩაუტარდა და თანამედროვე აღჭურვილობით მოეწყო

4 250 კვადრატული მეტრის სასწავლო ინფრასტრუქტურა

სტუდენტების 75 %-ს აქვს

სხვადასხვა მოცულობის სასწავლო გრანტი ათასწლეულის გამოწვევის ფონდიდან

ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და კორპორაციის მხარდაჭერით,

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო-საჯარო პარტნიორობის ფონდში

კერძო სექტორისგან სტუდენტების სტიპენდიებისთვის მოზიდული იქნა

3 მილიონი აშშ დოლარი

SAN DIEGO STATE UNIVERSITY

Georgia

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში
მონაწილეობა მიიღო საქართველოს
67 სკოლის **271**-მა მოსწავლემ
85-მა გუნდმა

მონაწილეების **58 %** რეგიონებიდან
არიან, ხოლო **- 42 %** თბილისიდან

მონაწილეთა **53 %** - ბიჭები, **47 %** - გოგოები

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის შესყიდვები
ჩატარდა 26 მსხვილი ტენდერი
განხორციელდა
54 საერთაშორისო ტენდერი,
34,650,000 აშშ დოლარის ჯამური ბიუჯეტით.

MILLENNIUM INNOVATIONS AWARD
ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი

ინოვაცია 2017

- ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, ქართულმა სამშენებლო კომპანიებმა დაიწყეს თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და განხორციელება, როგორც მშენებლობის, ასევე შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კუთხით. სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დაწყებამდე ფონდი უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე ტრენინგების ჩატარებას სამშენებლო კომპანიის თანამშრომლებისთვის.

- 2017 წლის აპრილში კალიფორნიის შტატის ქალაქ სან დიეგოში საქართველოს დღეები გაიმართა. სამდღიანი ღონისძიების მთავარი მიზანი საქართველოზე, მის კულტურასა და საინვესტიციო კლიმატზე ცნობიერების ამაღლება იყო. 2017 წლიდან კალიფორნიის შტატის ქალაქი სან დიეგო თბილისის დღეს 28 აპრილს აღნიშნავს, ხოლო თბილისში სან დიეგოს დღე ყოველი წლის 12 სექტემბერს აღინიშნება.

- ფონდის მხარდაჭერით შემუშავდა განმანათლებელთა პროფესიული განვითარების კომპლექსური მიდგომა, რომელიც გულისხმობს განათლების სისტემის მართვის საკვანძო რგოლებში ისეთი კომპეტენციების განვითარებას, რომელიც საჭიროა მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად. აღნიშნულ მიზანს ემსახურება ლიდერობის აკადემია და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების გრძელვადიანი კურსი.

- საგანმანათლებლო შეფასებების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში პირველად ჩატარდა საერთაშორისო საგანმანათლებლო შეფასებები ელექტრონული ფორმატით.

- საქართველოში პირველად შემუშავდა და ინერგება საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემა. აღნიშნული პროგრამის სრულად განხორციელება საქართველოში არსებული სასკოლო შენობებისა და აღჭურვილობების ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივებასა და მათი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას უზრუნველყოფს.

ინოვაცია 2017

- 2017 წელს პირველად დაწესდა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო. პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს ცერემონიაზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები შემდეგ კატეგორიებში:

წლის პროფესიული განათლების სტუდენტი

1. ნიკოლოზ წიკლაური - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია"

2.არჩილ გობეჯიშვილი - პროფესიული კოლეჯი „სპექტრი"

წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. მანუელ ფაუნდეს-ბარანდა - პროფესიული კოლეჯი „იკაროსი"

2. ინეზი პარუნაშვილი - პროფესიული კოლეჯი „მოდუსი"

წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება

1. პროფესიული კოლეჯი „იკაროსი"

2. საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა"

წლის პროფესიული განათლების ბიზნესპარტნიორი

1. Adjara Group Hospitality

2. BP საქართველო

- ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფარგლებში, სენაკელმა მერვეკლასელებმა: ლიკა კოკაიამ, დეა ჩიტაიამ, გვანცა ჩიქოვანმა, ალექს ტყებუჩავამ და ნათია შამათავამ შექმნეს ხელსაწყო „**გეოლოგიური საფრთხეები**“. “გეოლოგიური საფრთხეები“ წარმოადგენს შეტყობინების სისტემას მეწყერსაშიში ზონებისათვის. პროექტი ინოვაციურია, რადგან მოწყობილობა განსაკუთრებული სიზუსტით, საიმედოობითა და სტაბილურობით გამოირჩევა. ის ყველა ტიპის რელიეფს ერგება.

- სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის სტუდენტებმა, ნინო მიქაძემ და მარიამ გაგუამ, კონკურსში - „ჰაკათონი რაგბისთვის“ გაიმარჯვეს. მათ შექმნეს ინოვაციური ონლაინ პლატფორმის პროტოტიპი რაგბის თამაშის ანალიზის გასაუმჯობესებლად. საქართველოს რაგბის კავშირი აგრძელებს გოგოების გუნდთან თანამშრომლობას, რათა მოხდეს შექმნილი პროდუქტის რეალური გამოყენება სპორტის ამ სახეობაში.

GEORGIA
REHABILITATED SCHOOL
Sisterly

ფოტო 2017

მიღწევა 2017

Facebook-ის სტაჟიორი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს სტუდენტი ლუკა ლომთაძეა

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს სტუდენტი ლუკა ლომთაძე სტაჟირებას „Facebook"-ის სათავო ოფისში, კალიფორნიაში გაივლის. ლუკა კომპანიამ 250 000 სტუდენტიდან საუკეთესო 300 სტუდენტს შორის შეარჩია და ზაფხულში მენლო პარკში, სილიკონის ველზე მიიწვია სოფტვეარ დეველოპერად. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს სტუდენტი „Facebook"-ში დასაქმდა. **„Facebook"-ში მოხვედრა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო და ვიცოდი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მივაღწევდი დასახულ მიზანს"**, ამბობს ლუკა.

ადამიანური კაპიტალის განვითარება რეგიონულ დონეზე - პროექტის ფარგლებში ზრდასრულთა სწავლების პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანი ტრენინგების ჩატარების მიზნით, შემუშავდა ტრენერთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა. პროგრამის დასრულების შედეგად, სისტემას 446 სერტიფიცირებული ტრენერი შეემატა. პროექტში განსაკუთრებული აქცენტი რეგიონულ დაფარვაზე გაკეთდა და შესაბამისად, სერტიფიცირებულ ტრენერთა 49% არის თბილისის, ხოლო 51% - საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელი.

ახალი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები საჯარო სკოლებში

გიორგი ტერტერაშვილს ფიზიკა ყველა საგანზე მეტად უყვარს. მას შემდეგ, რაც ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა ტყვიავის საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით აღიჭურვა, გიორგიმ ელექტრობის და მექანიკის სწავლა მეტი მონდომებით დაიწყო. მექანიკამ ისე გაიტაცა, რომ საკუთარი ველოსიპედის მუშაობის პრინციპი ზედმიწევნით შეისწავლა. შეუფერხებლად შლის და აწყობს მას და შეუძლია, დაზიანების შემთხვევაში, თავადვე შეაკეთოს და გამართოს საკუთარი ტრანსპორტი.

"საბუნებისმეტყველო საგნები ყველაზე მეტად მიყვარს, განსაკუთრებით - ფიზიკა. სკოლის რეაბილიტაციის და აღჭურვის შემდეგ მომეცა საშუალება, ექსპერიმენტები ჩავატაროთ ლაბორატორიაში, ამის შემდეგ კი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვიყენო. ელექტრობა და მექანიკა ყველაზე საინტერესო მიმართულებებია. ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვარ და ალბათ ჩემს მომავალ პროფესიას ფიზიკას დავუკავშირებ".

გიორგი ტერტერაშვილი
ტყვიავის საჯარო სკოლის მოსწავლე

* ლიდერობის აკადემიის ტრენინგებმა თავდაჯერება შემატა, მეტი მოტივაცია გაუჩინა და სკოლის მართვას განსხვავებული მენეჯერული ხედვით შეუდგა. ლელა ჯაყელმა გორის N5 საჯარო სკოლის დირექტორად მუშაობა იმ დროს დაიწყო, როცა შენობას სახურავიც არ ჰქონდა და სკოლაში სამი თვის განმავლობაში ისევე წვიმდა, როგორც გარეთ. გორის N5 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და ლაბორატორიით აღჭურვა ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა განახორციელა. სკოლის დირექტორმა კი ფონდის მიერ ინიცირებული და განხორციელებული ლიდერობის აკადემიის ტრენინგები გაიარა, შედეგად, სკოლაში ეფექტური მმართველობა დანერგა.

„ლიდერობის აკადემიის ტრენინგების გავლის შემდეგ ჩემი მუშაობის სტილი შეიცვალა: სკოლაში თანამშრომლური კულტურა დავნერგე, ჩამომიყალიბდა განსხვავებული მენეჯერული ხედვა, რაც საქმის სწორად წარმართვაში მეხმარება. სკოლაში იდეალური გარემო და ინფრასტრუქტურა გვაქვს და ახლა ჩემი, როგორც დირექტორის საზრუნავი მხოლოდ სწავლის ხარისხის ამაღლება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაა“.

ლელა ჯაყელი
გორის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორი

* თეა ნონიკაშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლაში წლებია ბიოლოგიას ასწავლის. იმისთვის, რომ მოსწავლეებისთვის საგანი საინტერესო გაეხადა, სკოლაში არსებულ ერთადერთ ხელსაწყოს, ძველ მიკროსკოპს იყენებდა. მოძველებული მიკროსკოპი თავის ფუნქციას სრულყოფილად ვეღარ ასრულებდა და ბავშვების დაინტერესებაც უჭირდა. ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ სკოლის სრული რეაბილიტაციისა და სკოლაში თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორიის მოწყობის შემდეგ, ახალი ტექნიკა, უახლესი ხელსაწყოები და ცდებისთვის საჭირო რეაგენტები მასწავლებლისა და მოსწავლეების განკარგულებაში მოექცა და სწავლების ახალი ეტაპი დაიწყო.

ლაბორატორიის გამართვის შემდეგ, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება მაღალ დონეზე მიმდინარეობს. მოსწავლეების მოტივაცია საგრძნობლად გაიზარდა, მათი უმრავლესობა ამ მიმართულებით აპირებს სწავლის გაგრძელებას. ასეთი მასშტაბური შედეგები აქამდე არ გვქონია. მოსწავლეების ინტერესი იმდენად მაღალია, სამეცნიერო კლუბში გაკვეთილების შემდეგ დამატებით რჩებიან ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად. სამომავლოდ ვგეგმავ, მოსწავლეები კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში წავიყვანო სტაჟირებაზე“.

თეა ნონიკაშვილი
ხიდისთავის საჯარო სკოლის მასწავლებელი

მიღწევა 2017

- **პროფესიული განათლების 45 ახალი პროგრამა**

  ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში ათი პროექტი დაფინანსდა. პროექტების მეშვეობით შეიქმნა და განახლდა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი 45 პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამა.

- ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით დაფინანსებული პროფესიული განათლების ათი კოლეჯი ამკვიდრებს თანამედროვე მიდგომებს გოგოებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების ახალ პროგრამებზე მოზიდვის მიზნით. გენდერული და სოციალური სტრატეგია ეხმარება კოლეჯებს, შექმნან ადაპტირებული სასწავლო გარემო სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის და ხელი შეუწყონ გოგოების პროფესიულ განათლებას იმ სპეციალობებში, რომლებიც განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნით სარგებლობენ დასაქმების ბაზარზე.

- **საჯარო-კერძო პარტნიორობის ფონდი**

  ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები წარმატებით თანამშრომლობენ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ გრანტით დაფინანსებული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების შექმნაში.

  მაგდა მაღრაძე: „ჩვენი ფონდის პროფესიული განათლების პროექტში განხორციელებული ინვესტიცია უპრეცედენტოა. ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა პროფესიული განათლების 10 პროექტი 12 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა. საგრანტო კონკურსის მოთხოვნების მიხედვით, აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა კერძო სექტორის მხრიდან თანადაფინანსების არსებობა. შესაბამისად, აღნიშნულ 10 პროექტს კერძო და საჯარო სექტორების მხრიდან 6 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მხარდაჭერა აქვს. ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საქართველოში“.

კოსტავას ქ. 5, თბილისი 0108, საქართველო| +995 32 2428 528 | info@mcageorgia.ge | www.mcageorgia.ge